№ 236 ნოემბერი 7, შაბათი 1892 ნოემბერი 7, შაბათი № 236


**გაზეთი ღირს**

| თვეა | მან. კ. | თვეა | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

[illegible] დასაბეჭდად და კერძო განცხადებისა[illegible] უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, [illegible]აში, ავჭალის ქუჩაზე, კარანტელის ... ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის ... სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელ[illegible] საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1892



## დედა-ენა

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, ახალი მეცხრე გამოცემა დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. წიგნის ტექსტი შეუცვლელად არის დარჩენილი, მხოლოდ თავში ჩართული აქვს სახატავი სურათები და ბოლოში ოთხი გვერდი საწერი დედანი მსხვილისა და შუათანა ხელისა, ასე რომ ამ წიგნის ხმარების დროს მოსწავლეს ცალკე დედანი აღარ დასჭირდება. ფასი უწინდელია—ექვსი შაური. ვინც იყიდის 30 ცალს ერთბაშად ნაღდს ფულზედ, წიგნი დაუთმობა უყდოდ 25 კ. და ყდით 33 კ.

შემდეგი გამოცემისათვის უკვე შეკვეთილია საწერი დედანი წვრილის ხელისა და ნუსხურისა. 10—2

## ქართული თეატრი

კვირას, 8 ნოემბერს,

არტისტის კ. დ. ყიფიანის მონაწილეობით ქართულ დრამატ. საზოგად. არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

## სამშობლო

ისტორიული დრამა 5 მოქმ. გადმოკ. თ. დ. ერისთავისაგან

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, მძინაროვისა, ბ-ნნი: ყიფიანი, აბაშიძე, სვიმონიძე, გუნია, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, და სხ.

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ

## სახლების აშენების ამხანაგობის მმართველობა

უმორჩილესადა სთხოვს იმ ამხანაგთ, რომელთაც ხვედრი ფული არ შემოუტანიათ წილის ფულის შესავსებლად, ააჩქარონ ამ ფულის შემოტანა საზოგადო კრებამდე, რომელიც დანიშნულია ნოემბრის 8. ამასთანავე ამხანაგობის მმართველობა აცხადებს, რომ ვინც ამ ფულს კრებამდე არ შემოიტანს, გამოირიცხება ამხანაგობიდგან. (5—3)


ტფილისი, 6 ნოემბერი

ეროვნულმა პრინციპმა და იმ დედა-აზრმა, რომ ყოველი ერი, საყოველთაო საბედნიეროდ, თავის ბედის გამგებელი თითონვე უნდა იყოს, მაგრად გაიდგა ფესვი ევროპაში. დიდი და პატარა ამ ჟამად—ამ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს—მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ სხვის მიერ მოვლა და პატრონობა, რაც უნდა გონივრული იყოს, ისე ძვირფასი არ არის; რომ გამდელი, რაც უნდა გულ-მტკივნეული და ალერსიანი იყოს, მაინც გამდელია და დედ-მამის მაგიერობას ვერ გასწევს. გამდლისაგან დავაჟკაცებულ მოქალაქეს უსათუოდ რაიმე ხინჯი გამოაჩნდება, ან ფეხმკლავი ექნება დაშავებული, ან, რაც უფრო საშიშია და დამღუპველი ხალხისა, გული ექნება დაჩაგრული და ჭკუა-გონება—დასუსტებული.

თუ ადამიანი ღრმად და ჩაფიქრებით ჩაუკვირდება ევროპიელის კაცის ცხოვრებას, ადვილად დაინახავს, რომ ეს უმთავრესი დედა-აზრი აელვარებს ევროპიელის ყველა სხვა წადილს, ყველა სხვა მისწრაფებას. სოციალისტების აზრი, რომ ყველანი ძმანი ვართო, ჯერ არ არის შეწყნარებული. ლიბკნეხტმა საფრანგეთში ცხარე სიტყვა წარმოსთქვა, რომ ყველა მუშაკნი ძმანი ვართ ეროვნობის მიუხედავადაო, მაგრამ როცა მერე შეეკითხნენ, ვინიცობაა ომი აგვიტყდა ჩვენა და გერმანელებს, როგორ მოიქცევითო, ლიბკნეხტმა გულ-ახდით აღიარა, ომში ჩვენც მონაწილეობას მივიღებთო.

ასეთივე საქმე დაემართათ საფრანგეთისა და ბელგიის მუშებს. ბელგიელებმა შეუთვალეს, ნუ ავიწროებთ ჩვენს მუშებს, ჩვენ ხომ ძმები ვართო. ეგ მართალია, მაგრამ საფრანგეთის მუშები გვირჩევნიან და თქვენის გულისათვის ჩვენებს ვერ. ვაწყენინებთო.

ეს ორიოდე მაგალითიც ცხადად გვიმტკიცებს, რომ რაც ხანი და ჟამი გადის, ეროვნული პრინციპი უფრო მეტს წარმატებაში შედის. ამ მხრივ განსხვავება სხვა-და-სხვა ევროპის სახელმწიფოს შორის მხოლოდ ისაა, თუ სად როგორ არის ეს დედა-აზრი განხორციელებული. ზოგნი, როგორც ირლანდიელნი ინგლისში და სლავიანთა ტომნი ავსტრი-ვენგრიაში, წვითა და დაგვით იძენენ თავისუფლებას, ავტონომიას, ზოგნი-კი—წყნარად, მშვიდობიანად. ასეა, მაგალითად, საქმე ნორვეგიაში.

1814 წელს ნორვეგია შეუერთდა შვეციას და მასუკან ეს ორი სახელმწიფო ერთად სცხოვრობენ. კონსტიტუციის ძალით, ნორვეგიას შინაური საქმეების გამგეობა თითონა ჰქონდა ჩაბარებული, საკუთარი წარმომადგენლები ჰყავდა (სტორტინგი), ნება ჰქონდა უცხო ქალაქებში თავისი ელჩები და კონსულები ეგზავნა, უფლება ჰქონდა აგრეთვე სხვა სახელმწიფოს გამოგზავნილი ელჩი მიეღო და სხვანი.

შემდეგში ნორვეგიამ ეს უფლება დაჰკარგა. შვეციის მეფეებმა ნელ-ნელა ჩამოართვეს სხვა-და-სხვა უფლება ნორვეგიის ერს და საქმე იქამდის გაამწვავეს, რომ დღეს ნორვეგიელნი ხმა-მაღლა ჰღაღადებენ, ან დაგვიბრუნეთ სრულიად ჩვენი უფლებანი, ან არა-და, შვეციის მეფე აღარ გვინდა, რესპუბლიკას გამოვაცხადებთ და უთქვენოდაც კარგად მოვუვლით ჩვენს პატარა ქვეყანასაო.

ნორვეგიელების ასეთმა აზრმა და სურვილმა დიდად დააფიქრიანა და დაალონა შვედების მეფე ოსკარი. საქმე იმაშია, რომ ოდესმე შვეცია ჰბატონობდა თითქმის მთელ ევროპის ჩრდილოეთად. ეს ბატონობა რუსეთმა ჩამოართვა. შვეციის მეფენი დღესაც ვერ ივიწყებენ წარსულს დიდებას და ჰსურთ, კვლავ დაიბრუნონ როგორმე ბრწყინვალე ძველი დრო. ამისათვის ჰმეგობრობენ გერმანიას და ცუდის თვალით უცქერიან რუსეთს. გერმანიის მეგობრობა კიდევ იმას ჰნიშნავს, რომ ბლომად ჯარი იყოლიო და ბლომად გამოიღო ფული ჯარის მოსაწყობად. ღარიბ-ღატაკი მეგობარი აგრე რიგად არ ეპიტნავება გერმანიას. შვეცია-ნორვეგიაში სულ შვიდი მილიონი ხალხი ითვლება. ნორვეგია რომ ცალკე გავიდეს, ხალხი განახევრდება და შვეციაც მთლად მოუძლურდება. აი მიზეზი, რომელმაც დააღონა და დააძმარა მეფე ოსკარი.

ნორვეგიელებს ჰმეთაურობს სახელოვანი მწერალი და დიდი პატრიოტი ბიერნსტერნე-ბიერნსონი. ეს დაუღალავი მოღვაწე იმას ჰქადაგებს, რომ ჩვენ არავისი მტრობა არ გვიდევს გულში, ჩვენ გვინდა ჩვენთვის შინ მყუდროდ ვიყვნეთ, ვიშრომოთ და ვიღვაწოთო. ჩვენ აღარ შეგვიძლიან მოვითმინოთ დაჩაგვრა და დამცირება, სიმართლე ჩვენსკენაა და ვითხოვთ, რომ ბოლო მოეღოს ასეთს უკანონობასაო. ჩვენ გვსურს მხოლოდ, მეფე გვყავდეს ერთი, ის იყოს პატრონი შვეცია-ნორვეგიისა და სხვაფრივ-კი ყოველივე მართვა-გამგეობა თითოეულს ერს საკუთრადა გვქონდესო. პირობა დავდოთ, რომ თუ მტერი შემოესევა ქვეყანას, შეერთებულის ძალით პასუხი გავსცეთ, სხვაფრივ ნურას უკაცრავად, შვეციის მეფის სხვა-და-სხვა სურვილს ჩვენ ვერ შევიწყნარებთო.

შვედებისა და ნორვეგიელების დავიდარაბა იმითი მწვავდება, რომ ნორვეგიელებს თვით შვეციის დემოკრატები ემხრობიან და საბრძოლველად აქეზებენ.

ნორვეგიელებს გამარჯვებით ჯერ არ გაუმარჯვნიათ, მაგრამ ცხადია, ასე გონივრულად და მხნედ დაწყებულს საქმეს ბოლოს უსათუოდ გამარჯვება დააგვირგვინებს.

ა. ფრონელი

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

ინგლისის პარლამენტი.—პარლამენტის შენობა.—ლორდთა პალატა—პალატა საზოგადოებათა. —სპიკერი.—ლორდ-კანცლერი.—გლადსტონი. — ფორსტერი.—ჯონ ბრაიტი.

„ინგლისის პალატა", „საზოგადოებათა პალატა", „პალატა ლორდთა"—ამ სახელებს ყოველ დღე ამოიკითხავთ გაზეთში. ამ უკანასკნელ დროს თითქმის მთელმა ქვეყანამ მიაქცია ყურადღება ინგლისის პარლამენტის გამოჩენილ მოღვაწეთ. გვგონია, ჩვენი მკითხველნიც არ დამემდურებიან, დღეს რომ ორიოდე სიტყვა მოვახსენოთ ინგლისის პარლამენტისა და მისი ზოგიერთი მოღვაწენი ცოტათი მაინც გავაცნოთ.

პარლამენტის შენობა, ანუ ვესტმინსტერის სასახლე მდინარე ტემზას ნაპირზეა აშენებული. გარედგან ეს სასახლე მორთულია ინგლისის ყველა მეფეთა ქანდაკებით მეფე ვილჰელმიდგან დედოფალ ვიქტორიამდე. პარლამენტის შენობას 8 დღიურის ოდენა ადგილი უჭირავს. ამ შენობაში 1,100 დიდი დარბაზია, შიგ რამდენიმე ეზოა და ორი მაღალი კოშკი. ერთს კოშკში გამართულია უზარმაზარი საათი. ამ საათის მომართვას 6 საათი დრო უნდება. უზარმაზარ საათს ასეთივე უზარმაზარი ზარი აქვს, რომელიც წონით 780 ფუთია. დამშვიდებულ ჰაერში ამ საათის ზარის რეკვა მთელს ლონდონში ისმის და, ხომ მოგეხსენებათ, ლონდონი ძლიერ პატარა ქალაქი არ გახლავთ და 5 მილიონამდე ხალხი ასხია, თითქმის იმდენი, რამდენიც მთელს კავკასიაშია. უნდა მოგახსენოთ, რომ პარლამენტის შენობა ძლიერ იაფად არ დამჯდარა. 1834 წელს პარლამენტის ძველი შენობა დაიწვა. ინგლისელებმა, რასაკვირველია, ამის გამო წარბიც არ შეიხარეს და წამსვე ახალი შენობა ააგეს, რომელიც მთავრობას 30.000,000 მანათი დაუჯდა. პარლამენტის შესავალშივე ერთი დიდი დარბაზია, რომლის ბადალიც მთელს დედამიწის ზურგზედ არსად არის. ეს დარბაზი ჩინებულად არის მორთული. ამ დარბაზის გვერდზედ კიდევ ორი დიდი დარბაზია, ერთი „ლორდთა პალატისა" და მეორე „საზოგადოებათა პალატისა". „ლორდთა პალატაც" მშვენიერად არის მორთული. უკანა კედელთან სდგას სამეფო ტახტი. გარშემო ხავერდით მორთული სკამებია ლორდებისა და მათ ოჯახობისათვის. კედლები შემკულია ინგლისის საისტორიო სურათებით.

„საზოგადოებათა პალატა" უფრო სადად არის მორთული. არც მდიდრული ავეჯი აქვს, არც სურათები. ამ დარბაზს შუშაბანდის ჭერი აქვს, საიდგანაც დღისით დარბაზს მზის შუქი ანათებს და ღამით ელექტრონის ლამპრები. დარბაზის ჩრდილოეთ მხარეს მდიდრულად მორთულ კამარას ქვეშ სდგას სავარძელი პალატის თავმჯდომარესთვის, რომელსაც ინგლისელნი სპიკერს უწოდებენ. დარბაზში რვა რიგად სკამებია დაწკრივებული პალატის წევრთათვის. სპიკერის მარჯვენა მხარეს მთავრობის დასის წარმომადგენელნი სხედან, მარცხენა მხარეს—ოპოზიცია. ორისავე დასის მეთაურნი წინ გამოიჭიმებიან ხოლმე. დარბაზის აქეთ-იქით აივნებია გამართული ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა და გარეშე ხალხისათვის. დარბაზის გვერდით ორი ოთახია, სადაც კენჭის ყრაა ხოლმე. დანარჩენ ოთახებში გამართულია კანცელარიები, ბიბლიოთეკები, პარლამენტის მოხელეთა სადგურები და სხვა.

**

პარლამენტი ერთსა და იმავე დროს ინგლისის საკანონ-მდებლო საკრებულოც არის და უმაღლესი სასამართლოც. პარლამენტის მიერ მსჯავრდადებულ კაცის პატიება თვით მეფესაც არ შეუძლიან, პარლამენტის ნება დაურთველად. ახალის პარლამენტის დაარსების დღეს იკრიბებიან ორისავე პალატის წევრნი; ქვედა პალატა (საზოგადოებათა პალატა) ირჩევს თავმჯდომარეს—სპიკერს და ზედა, ანუ ლორდთა პალატა—ლორდ-კანცლერს. სპიკერეში წარმომადგენელნი არიან საზოგადოებათა პალატისა და ხალხის უფლებისა. სპიკერებს ამიტომ მთელი ინგლისი დიდს პატივსა სცემს. სპიკერი არც ერთს საპოლიტიკო დასს არ უნდა ეკუთვნოდეს, იმისთვის ყველა ერთი უნდა იყოს: კონსერვატორი, ლიბერალი, სოციალისტი, რადიკალი და სხვა. სპიკერს არ შეუძლიან თავისის უფლებით კრება დაშალოს; ამისათვის საჭიროა, რომ პალატის ერთმა წევრმა მაინც მიჰმართოს და სთხოვოს, კრება დაშალეო. ერთხელ, როცა საზოგადოებათა პალატის სპიკერად დენისონი იყო, როგორღაც მოხდა, რომ გაცხარებულის კამათობის შემდეგ, რომელიც ღამის 12 საათს გადასცდა, კამათობით გაცხარებულნი წევრნი ყველანი ისე წავიდწამოვიდნენ, რომ არავის არ მოაგონდა ეთქვა სპიკერისათვის, კრება დაშალეო. პალატაში დარჩა მარტოდ-მარტო საცოდავი სპიკერი დენისონი. პალატის კრების წესის დარღვევა თვით თავმჯდომარეს აბა როგორ შეეძლო და იჯდა პალატაში მარტოდ-მარტო. ბოლოს პატივცემული სპიკერი პალატის მოსამსახურეს ძლიერ შეეცოდა, წავიდა პალატის ერთს წევრთან და უამბო ყოველივე. წევრი დაბრუნდა პალატაში და ობლად დარჩენილს სპიკერს სთხოვა, კრება დაშალეო. სპიკერმაც, რა თქმა უნდა, სიამოვნებით აასრულა

## მემკვიდრე ცესარევიჩი საქართველოში

ბათუმი, 5 ნოემბერი

დღეს, ნაშუადღევის 1 საათსა და 28 წამზედ, ხომალდით „Память Меркурія“ მობრძანდა ბათუმს მისი იმპერატორებითი უმაღლესობა მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდი მთავარი ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძე.

ამ სადღესასწაულო ამბის გამო ბათუმი დილიდგანვე მორთული იყო ბაირაღებით. ბაირაღებითვე იყო მორთული ყველა გემი, რომელიც-კი იმ ჟამად ბათუმის ნავთ-სადგურში იდგა. რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის ნავთ-სადგური, რომელშიაც დამშვიდებით შემოცურდა ხომალდი, მორთული იყო ბაირაღებითა და ყვავილის ხვეულებით. ჩინებულად იყო შემკობილი ყვავილის ხვეულებით და ბაირაღებითვე, გერბებითა და ხალიჩებით რკინის გზის ბაქანი და დამოჯნის კარ-მიდამო, სადაც დიდებულს სტუმარს მატარებელი ელოდდა. აქვე ბაქანზედ, იდგა საპატიო დარაჯი ბათუმის ბატალიონისა დროშებითა და მუსიკით. იმ ადგილას, სადაც ჯვარედინდება სმეკალოვსკისა და ტფილისის ქუჩები და სადაც რკინის გზის მატარებელს უნდა გაევლო, გამართული იყო კამარა შეკრული სადღესასწაულო კარი, ბაირაღებითა და ყვავილის ხვეულებით შემკობილი. კარებზედ ამოსახული იყო დასაწყისი ასოები ხელმწიფე იმპერატორისა, ხელმწიფე იმპერატრიცასი, მათ იმპერატორებით უმაღლესობათა მემკვიდრე ცესარევიჩისა, დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძისა და დიდის მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულის სახელებისა. ორსავე ქუჩების სახლების აივანები შეეხამებინათ ხალიჩებითა, დროშებითა და ყვავილის ხვეულებითა.

დილის 10 საათიდგან დიდ-ძალი ხალხი მიაწყდა ბათუმის ნავთსადგურს. კანდელმა აცნობა თუ არა ხალხს, ხომალდი „Память Меркурія“ მოახლოვდაო, ნავთ-სადგურისაკენ წარემართნენ მის უმაღლესობის მისაგებებლად მთავრობის წარმომადგენელნი. იქვე მიბრძანდნენ მთავარ-მმართებელი შერემეტიევი, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, შტაბის უფროსი პერლიკი, გზათა მმართველი კავკასიაში სტატკოვსკი, გენერალი ტუტოლმინი, ქუთაისის გუბერნატორის თანაშემწე თავადი ერისთავი, ბათუმის ქალაქის თავი გავრილენკო და წევრნი გამგეობისა, რამდენიმე ხმოსანი და ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ბ-ნი ფრიდე თავის თანამოსამსახურეებით.

ნაშუადღევის მე-2 საათის 28 წამს ხომალდი „Память Меркурія“ წყნარად შემოსცურდა ბათუმის ნავთსადგურში და მოუახლოვდა ბაქანს.

გემის მოსვლისათანავე, მთავარ-მართებელი ავიდა ბაქანზედ, სადაც მიულოცა მშვიდობით მგზავრობა მისს უმაღლესობას და საპატიო მოხსენება მიართვა. მისი იმპერატორებითი უმაღლესობა ზღვათა უწყების მუნდირში იყო. ფლოტის მუსიკა „მარშს“ უკრავდა, როდესაც მისი უმაღლესობა გადმოვიდა ნავთსადგურზედ, სადაც ბათუმის ქალაქის მოურავმა პურ-მარილი მიართვა ვერცხლის ტაბაკით, რომლის დროსაც დიდ-ძალის თავმოყრილის ხალხის ხანგრძლივი „ურა“ ისმოდა. აქედგან მისი უმაღლესობა წარემართა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურისკენ, სადაც საპატიო დარაჯი იყო მუსიკით. გაუარ-გამოუარა რა საპატიო დარაჯს და მიესალმა, მისმა უმაღლესობამ საპატიო დარაჯი გაატარა თავის წინაშე, 2 საათსა და 30 წუთზედ საიმპერატორო მატარებელში შებრძანდა და მატარებელიც იმავე წამს სადგურ ხაშურისაკენ გაეშურა. მატარებლის დაძვრა იყო და გაისმა თავ-მოყრილის ხალხის „ურა“-ს ძახილი და ზარების რეკვა. საღამოზედ მთელი ქალაქი საუცხოოდ იყო გაჩირაღდნებული.

ხაშური, 6 ნოემბერი

ბათუმიდამ ხაშურამდე რკინის გზის ყველა სადგური მორთული იყო ბაირაღებითა, მწვანით და ყვავილებით. გზა-გზა ყველგან ცეცხლები ენთო, თვით სადგურნი გაჩირაღებული იყო ბენგალის სხვა-და-სხვა ფერის ცეცხლით. გზაზედ მის უმაღლესობას ალტაცებით და „ურას“ ძახილით ეგებებოდნენ. მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ სადილი მიირთვა ვაგონში, რის გამოც მატარებელი $^1/_2$ საათს გაჩერდა რიონის სადგურზედ. ხაშურს რომ მოახლოვდა, მატარებელმა შეუხვია სურამის ლიანდაგზედ და დილამდე იქ იდგა გაჩერებული. მის უმაღლესობას მემკვიდრე ცესარევიჩს მიეგებნენ აქ: დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე და ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ. შარვაშიძე. მემკვიდრე ცესარევიჩმა და დიდმა მთავარმა ნიკოლოოზ მიხეილის ძემ ვაგონებში მოისვენეს იმ ღამეს. დილით, 6 ნოემბერს, მისი უმაღლესობა ჩაბრძანდა ეტლში და აბასთუმანს წაბრძანდა. ხალხმა ალტაცებით და „ურას“ ძახილით გააცილა ძვირფასი სტუმარი.

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

ტფილისის მიხეილის სამკურნალოში ოთხშაბათს, 4 ნოემბერს, 1 ხოლერით ავადმყოფი იყო. ამავე დღეს მიიყვანეს კიდევ ერთი ავადმყოფი, რკინის გზის ჭიათურის შტოს მუშა ექვთიმე ხვედელიანი.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მოგვივიდა ყვირილიდგან ბ-ნ ს. ელიაშვილისაგან სამი მან. ბ-ნ თ. ჟორდანიას წიგნის დასაკვეთად. ამ ფულისა გვქონდა დღემდე 94 მან. ამითი შესდგა სულ 97 მან.

*** ტფილისში მოვიდა ახალი მე-11 ნომერი რუსულის ჟურნალის „Вѣстникъ Винодѣлія“-სი. ამ ნომერში საყურადღებოა სხვათა შორის შემდეგი წერილები: ღვინის ამღვრევა სიცივისაგან, ვ. ბ—ნისა; მოსავალი ღვინისა და მაზანდა მისი კავკასიაში; წარმოება ღვინისა და სპირტისა ბაქოს გუბერნიაში. ამ ნომერშია დაბეჭდილი მთავრობის განკარგულება: O вторичной перегонкѣ фрук. и виногр. спирта и порядкѣ выпуска въ продажу изъ несовершенствованныхъ заводовъ Закавказья фрук. и виногр. водки.

*** რუსეთის სახელმწიფო საბჭო წელს განიხილავს და გადასწყვეტს, საერო სკოლების მასწავლებელთ პენსია მიეცეთ, თუ არა.

*** უწმიდესმა სინოდმა გადასწყვიტა. რუსეთის იმპერიის განაპირს ადგილებში საეპარქიო არქიელის თავმჯდომარეობით ყველგან დაარსდეს უმაღლესი საბჭო საერო განათლების საქმეთა განსახილველად.

*** გზათა სამინისტროს მმართველმა განაცხადა, რომ რკინის გზათა ყველა სადგურების მოგზაურთ აქვთ ნება მოგზაურთათვის გამართულ ოთახებში ყოფნისა, მიუხედავად იმისა, მგზავრს შესაერთებელ შტოს იქითა სადგურამდე ბილეთი აქვს ნაყიდი, თუ არა.

*** ახლოვდება ნათლის-ღება და ტფილისში თანდათან დაიწყეს ლაპარაკი იმის შესახებ, გასდებენ წელსაც ხიდს სომეხთა იორდანისკენ თუ არა. პირველად ქალაქის გამგეობამ მოაგონა სომეხთა კონსისტორიას, რომ დროა შეუდგეთ ამ საქმის თადარიგსაო, შევადგინოთ გეგმა და წარუდგინოთ შენობათა საგუბერნიო მმართველობას დასამტკიცებლად, რადგან ქალაქის გამგეობას არა აქვს უფლება ხიდების გეგმის დამტკიცებისაო. კონსისტორიამ მოიწვია შინაურულად ქალაქის ინჟენერი ენფიანჯიანცი და სთხოვა — შეადგინე გეგმა დროებითის ხიდისაო. ბ-ნმა ენფიანჯიანცმა უარი განაცხადა, რადგან დროებითის ხიდის აშენება კვლავინდებურ გეგმაზედ ყოვლად შეუძლებელი და სახიფათოა და სხვა გეგმით გაკეთება ისივე დაჯდება, რაც მაგარი და სამუდამო ხიდიო. ამიტომ ურჩია კონსისტორიას, რომ ეხლავე შეუდგეს თადარიგს სამუდამო ხიდისას, რის გაკეთებასაც ბ-ნი ენფიანჯიანცი კისრულობს უსასყიდლოდ. ამასთანავე ქალაქის ინჟენერმა გამოაცხადა თავისი მოსაზრება, რომ უკეთუ ხიდს გასდებენ ვანქის ტაძრის გალავნიდგან-კი არა, არამედ ვანქის ქუჩიდგან, მაშინ უეჭველია თავ. ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკიც მიიღებს ხარჯში მონაწილეობას, რადგან მისი კუნძულის მამული ამით აიწევს ფასში ერთი ათადაო. ამასთანავე რადგან სამუდამო ხიდის გაკეთებას ბევრი დრო უნდა, ამიტომ მომავალ იანვარში, როგორც ისმის, სომეხთა წყალ-კურთხევა იქნება ვანქის ტაძარში.

*** დელეგატმა ცხენის რკინის გზისამ ბ-ნმა პაშკევიჩმა წინადადება მისცა უსახელო საზოგადოების დირექციას, რომ გააერთოს ფასი მუშტაიდიდგან ერევნის მოედნამდე ორსავე გზის ლიანდაგზედ, როგორც მიხეილის ხიდით, აგრეთვე ვერის ხიდით, ე. ი. ორსავე გზაზედ დააწესოს რვა-რვა კაპეიკი სულზედ. ამ სახით, გოლოვინის პროსპექტის ლიანდაგი ვერის ხიდის ჩასახვევამდე ეღირება სამი კაპეიკი, როგორც ეხლა ერევნის ლიანდაგზეა. როგორც ისმის, ხსენებული წინადადება ჰკუაში დასჯდომია დირექციას, რადგან ეხლა, სიძვირისა გამო, მუშტაიდში წამსვლელი ხალხი გოლოვინის პროსპექტზედ არა ჯდება ვაგონში, არჩევს ქვეითად მისვლას ან ვარანცოვის ძეგლამდე, ან ვერის ჩასახვევამდე და მხოლოდ იქა ჯდება ვაგონში. გაიაფებით-კი შემოსავალი უფრო მოემატება დირექციას, რადგან სამის კაპეიკის გულისთვის იმოდენა მანძილს ქვეითად აღარ ივლის ხალხი.

*** ტფილისის გარნიზონის მთავრობას სამკურნალო მთავრობის თანახმობით ნება დაურთავს ჯარებს სიმინდ-ნარევი პური აძლიონ, რადგანაც ხოლერა ამ ჟამად სრულებით მოისპო და ასეთის პურის ხმარება ჯარებისთვის საშიში არ არისო. ამ განკარგულების გამო ტფილისში დიდძალი სიმინდი ჩამოაქვთ.

---

ეს თხოვნა და თავ-მომწონედ წარმოსთქვა: „კრება დამიშლიაო!“

ზემო პალატისა, ანუ ლორდთა პალატის თავმჯდომარეს — ლორდ-კანცლერს ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორიც სკიპერს. ლორდები თითონ განაგებენ ყველა საქმეს და ლორდ-კანცლერი-კი... ისეა, რაღა, ვითარცა ოფიციალური წარმომადგენელი ლორდთა პალატისა.

**

პარლამენტის სესიის დაწყების დღეს თვით დედოფალი მობრძანდება ხოლმე ამალითურთ. დაბრძანდება ზედა პალატაში ტახტზედ და სიტყვას წარმოსთქვამს მომავალ სესიის პროგრამის შესახებ. უნდა მოგახსენოთ, რომ მისს უმაღლესობას, ინგლისის დედოფალს ასეთის სიტყვის წარმოთქმა სრულებით არ უძნელდება ხოლმე, რადგანაც ეს სიტყვა წინდაწინვე სამინისტროს მიერ არის შედგენილი და დედოფალი ამ სიტყვას კითხულობს. წაიკითხავს რა სიტყვას დედოფალი, გაემგზავრება სასახლეში და პარლამენტი თავისს საქმეს შეუდგება. პარლამენტს სრული უფლება აქვს განიხილოს ყოველ გვარი საქმე, რომელიც ქვეყნისათვის საჭიროდა და სასარგებლოდ მიაჩნია. ორისავე პალატის წევრთ სრული უფლება აქვთ პარლამენტში ლაპარაკისა და რაც უნდა წარმოსთქვან კრებაზედ, ვერავინ დასჯის. პარლამენტის წევრთა დაპატიმრების უფლება არავისა აქვს, იმ პალატის ნება დაურთველად, რომელსაც ეს წევრი ეკუთვნის. პარლამენტში წარდგენილ პროექტს (ბილლს) ჯერ იმ პალატაში კითხულობენ, რომელსაც ეს ბილლი წარედგინა, შემდეგ ამ ბილლს ჰბეჭდავენ და პარლამენტის წევრთ ურიგებენ, რომ ყველამ კარგად გაიცნოს და შეითვისოს. შემდეგ ბილლს ხელ-მეორედ კითხულობენ და ხშირად ამ წაკითხვას გაცხარებული და ხან-გრძლივი კამათობა მოჰყვება ხოლმე. თუ პარლამენტში წარდგენილს ბილლს საზოგადო მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებულ კომისიას გადასცემენ ხოლმე განსახილველად, რომელმაც ამ ბილლის შესახებ პალატას თავისი აზრი უნდა მოახსენოს. ამას შემდეგ პალატა მესამედ კითხულობს ბილლსა და, თუ მოიწონა, ახლა ზედა პალატას გადასცემს განსახილველად. თუ ამ პალატამაც ახლად წარდგენილი ბილლი მოიწონა, დასამტკიცებლად დედოფალს წარუდგენენ. დედოფალი, რაღა თქმა უნდა, ამ ბილლს ამტკიცებს და შესდეგ სტატუტების წიგნში იწერება, ე. ი. სავალდებულო კანონად გარდაიქცევა ხოლმე. კრება შესდგება, თუ ზედა პალატას დაესწრო არა ნაკლებ სამის წევრისა და ქვედა პალატას — არა ნაკლებ ორმოცის წევრისა. ორისავე პალატის წევრთ სრული უფლება აქვთ, რა ტანისამოსიც უნდათ, ის ჩაიცვან და ქუდმოხდილები ისხდნენ. ლორდ-კანცლერსა და სკიპერს-კი უეჭველად მოსამართლეს მანტია ასხიათ და თავი პარიკითა აქვთ შემკული... ალბად პატივცემულ ინგლისელ ჯინტლმენებს პარიკმახერის მიერ გაკეთებული პარიკი უფრო მოსწონთ, ვიდრე პრიალა, მელოტი თავი, თუნდა ამ მელოტის თავის პატრონი დიდად ჭკვიანი და პატიოსანი კაციც ბრძანდებოდეს... ლაპარაკის დროს პალატის წევრნი თავ-თავის ალაგასა სხედან და მხოლოდ ქუდს იხდიან ხოლმე. როცა პალატის წევრი დარბაზში შემოდის, დარბაზიდგან გადის, ან ადგილს იცვლის, უეჭველად ქუდი უნდა მოიხადოს. ამით პატივსა სცემს თავმჯდომარეს.

**

გლადსტონი მეთაურია ინგლისის აწინდელის ლიბერალთა სამინისტროსი. ამ ჟამად გლადსტონი 83 წლისაა. მიუხედავად ამისა ეს დიდებული მოხუცი ჯერ კიდევ ჰარმაგად არის და მხნე, დაუღალავი მუშაკია. 1854 წლამდე გლადსტონი კონსერვატორი იყო, მას შემდეგ თანდათან ლიბერალებს მიემხრო და ეხლა ლიბერალთა დასის ღირსეული მეთაურია. შესანიშნავმა ნიჭმა, მშვენიერმა ხასიათმა, გულ-კეთილობამ და შესანიშნავმა მჭევრმეტყველობამ გლადსტონს მთელს ქვევანაში დიდი სახელი და უგულითადესი პატივის-ცემა მოუხვეჭა.

გლადსტონი მართლა სახელოვანი მოღვაწეა, ზედ-მიწევნით და დაწვრილებით შესწავლილი აქვს ინგლისის სახელმწიფოს ყოველ გვარ ვაჭრობის საქმე და თავის ხუთის თითივით იცის აგრეთვე ვითარება ფინანსებისა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა სახელმწიფოში. გლადსტონის მჭევრმეტყველობა მართლაც შესანიშნავია. პარლამენტში ლაპარაკის დროს არასოდეს გადასცილდება ხოლმე იმ საგანს, რომელზედაც სჯა-ბაასია. გლადსტონის გამრჯელობა გასაოცარია: ერთს წუთს არა რჩება ცუდად. მეგობრები ხშირადა სწუხან ხოლმე, გლადსტონი მეტად ბევრსა ჰშრომობსო. პარლამენტის არც ერთს კრებას არ აკლდება ხოლმე და დაშლამდე პარლამენტშია. მხოლოდ ერთხელ დასტოვა კრების გათავებამდე პარლამენტი გლადსტონმა. ეს მაშინ მოხდა, როცა გლადსტონს კარეტიდგან გადმოსვლის დროს ფეხი დაუსხლტა და იტკინა. მაშინაც-კი იმ წამსვე არ დაბრუნდა უკან და კრებას დაესწრო, მაგრამ ფეხის ტკივილმა ძლიერ შეაწუხა და იძულებული შეიქნა შინ წასულიყო. გლადსტონს ინგლისის გარეშეც ყველა განათლებულ ქვეყნების ხალხი დიდს პატივსა სცემს, როგორც გამოჩენილს მოღვაწეს და ადამიანის უფლებისა და სიმართლისათვის თავ-დადებულს კაცსა.

**

მოვა თუ არა პალატაში ფორსტერი (ქვედა-პალატის დეპუტატი) დინჯადა და თავმომწონედ დაბრძანდება ხოლმე სკამზედ, გამოტავს ფეხებს თართის ლოშებივითა და ამ სახით თვალყურს ადევნებს პალატის კამათობას. ფორსტერი ისეთი ამაყი და ამპარტავანია, რომ თითქოს ჩემზედ ჭკვიანი კაცი ჯერ მთელს ქვეყანაზედ არ დაბადებულაო და პალატაში ხომ

*** ხუთშაბათს, 5 ნოემბერს, დილის 9 საათზედ, ტფილისის სადგურთან უცებ ხმა გაისმა: „მიშველეთ, გამძარცვესო“. ამ დროს გამოჩნდა ერთი თათარი გლეხი, რომელიც სამ ჩოხიანს თათრებს მისდევდა და ყვიროდა; „დაიჭით, მაგათ გამძარცვესო“: ორი ქურდთაგანი შეიპყრეს და გაძარცულთან ერთად პოლიციაში წაიყვანეს. გაძარცულმა კაცმა განაცხადა, ალ[illegible]ჩაფას ვაპირებდი წასვლას და ბილეთსა ვყიდულობდიო. ამ დროს მოვიდა ჩემთან ერთი ქურდთაგანი და მითხრა, ბილეთს ნუ იღებ, კონდუქტორი იაფად წაგვიყვანსო. ამავე დროს ამ კაცის ამხანაგმა გამოიარა და განგებ ფულის ქისა ამოუვარდა. მე ვერ მივხვდი მაგათ განზრახვას, დავწვდი და ქისა ავიღეო. ყული-ნაზარ-ოღლიმ მითხრა, ერთად ვიპოვეთ, ნახევარი ჩემიაო. წავედი ერთს ვიწრო ქუჩაში ქისის გასაშინჯად. უცბად ქისის ვითომდა დამკარგავი გაჩნდა და გვითხრა, ქისა თქვენ აიღეთ, ამ საათში დამიბრუნეთ, თორემ პოლიციას შევატყობინებო, და ამ ქისასთან ერთად ჩემი ქისაც გამიმართვა გასასინჯად. მე ჩემი ქისა გაუწოდე, რომელშიაც 53 მან. ქაღალდის ფული იყო. ამ კაცმა ქისა დამიბრუნა და ორივენი საჩქაროდ მომშორდნენ. გავსინჯე ჩემი ქისა და მხოლოდ 3 მანათი-ღა აღმოჩნდა. პოლიციის გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ერთი ამ ქურდთაგანი ყული-ნაზარ-ოღლი ყოფილა, რომელიც წინადაც ბევრჯელ შეუმჩნევიათ ავაზაკობაში და რამდენჯერმე ციხეშიაც მჯდარა. ავაზაკები ტფილისის მეამე განყოფილების გამომძიებელთან გაჰგზავნეს.

*** ქუთაისი: ჩვენის სადგილ-მამულო ბანკის მმართველობასა და ზედამხედველს კომიტეტს შეერთებული კრება ჰქონდათ ოქტომბრის უკანასკნელს რიცხვებში დამფასებლების ამოსარჩევად. კენჭი უნდა ეყარათ ბანკის ორის დამფასებლისათვის—კოტე მესხისა და სამსონ წულუკიძესათვის. კოტე მესხსა და იასონ ნიჟარაძეს ერთად უყარეს კენჭი და იასონ ნიჟარაძე იქმნა ამორჩეული. მეორეს—სამსონ წულუკიძეს ადგილზედ კენჭი იყარეს, თვით სამსონ ნიჟარაძეს გარდა, გუგუშვილმა, ბოქაულად ნამყოფმა, და დავით ჩხეიძემ. ამ უკანასკნელს არჩევანზედ სამსონ წულუკიძე სრულიად გაუშვეს, გუგუშვილსა და ჩხეიძეს-კი ერთნაირად ამოუვიდა კენჭი, თანაბრად ერგოთ თეთრი კენჭიცა და შავიც. ამ გვარად, მეორე დამფასებელი ჯერ არ არის ამორჩეული.

*** იქიდამვე: ქ. ქუთაისშიაც დაარსდა სამკურნალო საზოგადოება. ამ საზოგადოების თავმჯდომარედ ამორჩეულია მ. ვორონოვი, თავმჯდომარეს ამხანაგად დ. ნაზაროვი და მდივნად ექიმი-ქალი მ. ფ. კალანი. საზოგადოებას თვეში ორჯელა აქვს კრება, შაბათ დღეობით. ამ საზოგადოებამ ამას წინად კომისია ამოირჩია და მიანდო იმ საგნის შემუშავება, როგორ მოვახერხოთ, რომ უსასყიდლო საქალაქო სამკურნალო დავაარსოთო, რადგან საზოგადოებამ უკვე საჭიროდ იცნო სამკურნალოს დაარსება. სამკურნალო საზოგადოებას იმედი ქალაქის თვითმმართველობისა აქვს, ის შეგვაძლებინებს და სამკურნალოს დაგვაარსებინებსო. ამასობაში ბ-ნმა თოფურიამ, რომელსაც აქ კერძო იაფფასიანი სამკურნალო აქვს, ამას წინად მიმართა ქალაქის საბჭოს და სთხოვა: ქალაქმა წელიწადში ასი თუმანი მაძლიოს და მე ორი ათასს ბილეთს მივცემ ჩემს სამკურნალოში შემოსვლისას (სამკურნალოში თითო შესვლა 50 კაპ. ჰღირს) და ამას გარდა ორს სამუდამო საწოლს გავმართავ განსაკუთრებით ქალაქის ღარიბ ავადმყოფებისათვისაო. ქალაქს შეუძლიან ორი ათასი სნეული კაცი გამოჰგზავნოს სამკურნალოში და ორი საწოლიც მძიმე ავადმყოფებისათვის თავისად იგულოსო. ეს წინადადება ქალაქის საბჭომ განიხილა და არ შეიწყნარა იმ მიზეზით, რომ ფული არა გვაქვსო. არ ვიცით, მაშ სამკურნალო საზოგადოებამ როგორდა უნდა მოიხერხოს უსასყიდლო სამკურნალოს დაარსება?

*** რაჭის მაზრის სოფ. ონიდგან სწერენ გაზეთ „Кавказъ“-ს: 1882 წლიდგან ჩვენს მაზრაში მკურნალად იყო ბ-ნი ფანიაშვილი, რომელმაც გულმოდგინე შრომით, კეთილ-სინდისიერებითა და კაცთმოყვარეობით მთელის მაზრის მცხოვრებთა პატივის ცემა და სიყვარული დაიმსახურა. ამიტომ ჩვენი ხალხი ძლიერა სწუხდა, როდესაც ბ-ნი ფანიაშვილი ჩვენის მაზრიდგან გადიყვანეს და რაჭის მაზრის თავად-აზნაურობამ გამოსათხოვარი სადილი გაუმართა. ამას გარდა იმავე თავად-აზნაურობამ ხელის მოწერით შეგროვილი ფულით მკურნალებისთვის სახმარებელი შნიტცლერის მანქანა იყიდა და სახსოვრად უძღვნა საყვარელს მკურნალს. მანქანას შემდეგი ზედ-წარწერა აქვს: „მკურნალს ფანიაშვილს რაჭის მადლიერ მცხოვრებთაგან. 1882—1892 წწ.“

*** 5 ნოემბერს პოდპორუჩიკმა განჯის პოლკისამ ილია ალექსანდრეს ძემ შარბარონმა მთაწმინდის ქუჩაზედ თავის ძმის სახლში რევოლვერი დაიცა და თავი მოიკლა. თავის მოკვლის მიზეზი დიდის ხნის ძლექით ავადმყოფობა ყოფილა.

## მთავრობის განკარგულებანი

კავკასიის ოლქის დაღესტნის განყოფილებას მეოთხე დისტანციის უფროსი, გზათა ინჟინერი, კოლეჟსკი სოვეტნიკი კარპოვიჩი თავისისავე თხოვნით გზათა სამინისტროს შტატს გარეშე ინჟინრად იქმნა მიღებული უჯამაგიროდ.

ყუბანის ოლქის მეტყე, გუბერნსკი სეკრეტარი აკიმოვი დანიშნულ იქმნა ტფილისის გუბერნიის ალაზნის იქითა მხარეს მეტყედ.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს კანდიდატი სამუილ კანდელაკი დანიშნულ იქმნა ტფილისის სამოსამართლო პალატის კანდიდატად.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ამას წინად დეპეშამ ამბავი მოგვიტანა, რომ პარიჟში აფეთქება მოხდა და რამდენიმე კაცი იმსხვერპლა ამ აფეთქებამაო. ეხლა გაზეთები შემდეგს ამბავს იუწყებიან ამ მომხდარ დინამიტის აფეთქების შესახებ: სამშაბათს, დილის 11 საათზედ, მეთვალყურეს მე-11 №-ის სახლისას, Avenue de l'Opera-ს ქუჩაზედ, შეატყობინეს, რომ კარმოს მღვიმე-მაღაროების ამხანაგობის სადგომის შესავალ კარებთან რაღაც შეხვეული გდიაო. მივიდა თურმე ეს კაცი, ჰნახა რაღაცა შეხვეული გაზეთებში და ბაწრებით შეკრული. გახსნა ბაწრები, გაზეთი გაჰშალა და ჰნახა თუჯის ქვაბი, რომელიც პირქვე იყო დამხობილი. სიფრთხილით ავიღე ეს ქვაბიო, სთქვა თურმე: და Argentenie-ს ქუჩაზედ გავიტანე. ჩავხედე ქვაბს, რაღაც თეთრი ფხვნილი დავინახე და ვიფიქრე, ღვთისწყევლოს ღმერთმა, დინამიტი-კი არ იყოს-მეთქი. რომ დავაპნიო, ფეხს დაადგამს ვინმე, აფეთქდება და უბედურება მოხდება-მეთქი. მაშინვე დავუძახე ჩემს ცოლს, ტილო გამოვატანინე და იმაში შევახვიე. ამასობაში პოლიციელებიც მოვიდნენ. ერთმა მათგანმა გამომართვა და ყველანი, რომელთაგანაც მღვიმე-მაღაროების ამხანაგობის მოხელე გარენიც იყო, წავიდნენ პალე-როიალის პოლიციის განყოფილებაში, Bons Enfants-ის ქუჩაზედ. არ გაიარა რამდენიმე წუთმა, რომ პოლიციელმა მოირბინა და სთქვა, გარენი მოკლულიაო. აი რა მოხდა თურმე პოლიციის განყოფილებაში: ის იყო პოლიციელი რეო და გარენი შევიდნენ თურმე, რომ გაისმა საშინელი ხმა აფეთქებისა, თითქო ზარბაზანი დასცალესო. თვალის ერთს დახამხამებაზედ ფანჯრები სულ მიილეწ-მოილეწა და წვიმასავით წამოვიდა ნალეწი ქუჩაზედ; მთელი ეზო ბოლითა და მტვრით აივსო; რამდენისამე წამის განმავლობაში არაფრის დანახვა არ შეიძლებოდა. იმ ქუჩის მცხოვრებელნი თავს ზარ-დაცემულნი გამოვარდნენ გარეთ. რამდენსამე ხნის შემდეგ მოვიდა პოლიციის პრეფექტი ლოზე და მთავრობის სხვა წარმომადგენელთაც თავი მოიყარეს და დაათვალიერეს იქაურობა. პოლიციის შესავალი კარები სულ ერთიან მოგლეჯილია და ნაფოტებად ქუჩაში ჰყრია. დერეფანი ნაჭერ ნაჭერად არის ქცეული; ერთმანეთში არეულია ქაღალდები, ხე, შუშა და აგური. იატაკში უშველებელი ორმოა, რომელიც დინამიტს ჩაუთხრია. სალად დარჩენილს იატაკის ფიცრებზედ ჰყრია დანაკუწებული სამოსელი, დამტვრეული ავეჯი და ადამიანის მოწყვეტილი ხელ-ფეხი და სხვა ასოები; ამ ნამტვრევებ ქვეშ მოჩანს სრულად დანაწევრებული გვამი ადამიანისა. ეს კარმოს მღვიმე-მაღაროების მოხელე გარენის სხეულია. იმის ახლოს, კედელთან, გადაბრუნებულს სკამზედ ჰგდია მეორე უსულო გვამი: ორივე ფეხები მოწყვეტილი აქვს და პირ-ქვე დამხობილა მიწასა და აგურებს ქვეშ. ეს გახლავთ ნეშტი პოლიციის მდივნის პუსსესი. კედლები და ჭერი სისხლით არის მოთხვრილი; გაზის სამივე სანათური მიგრეხილ-მოგრეხილია და ერთზედ ადამიანის ნაწლავებია დახვეული, თითქოს განგებ დაუხვევია ვისმეო. ინსპექტორი ტრუტო, რომელიც ამავე სახლში იყო აფეთქების დროს, ცოცხალ-მკვდარი აიყვანეს და ეტლით საავადმყოფოსკენ გააქანეს. აქ ფეხი მოსჭრეს და საღამოზედ სულიც დალია.

## წვრილი ამბავი

ინგლისის ექიმის პავის აზრით, თუ კაცი სრულებით არა ჰმუშაობს, დღეში ერთის გირვანქა საჭმლით გასძღებს. იმ კაცს, რომელიც მჩატე ადვილ სამუშაოს აკეთებს, დღეში გირვანქა ნახევარი საჭმელი ეყოფა, და რომელიც მძიმე სამუშაოს ადგია, იმას-კი $1^1/_2$—3 გირვანქამდე საჭმელი დასჭირდება. აქ გამოანგარიშებულია წმინდად მხოლოდ უწ-

---

[...]კუითა და ცოდნით ვერავინ მაჯობებთო. ფორსტერს ხშირად დასცინიან ხოლმე ამ სიამაყისათვის, მაგრამ იმას ფეხებზედ ჰკიდია, რა აზრისანი არიან სხვები იმის შესახებ, მხოლოდ თავისი აზრი ჰგონია სამართლიანი და ღირს-შესანიშნავი. ფორსტერმა ერთხელ ხელ-ახლად წარადგინა ბილლი სწავლა-განათლების შესახებ. საზოგადოებათა პალატამ არა ერთხელ განიხილა ეს ბილლი და ამ საქმემ ძლიერაც მოაბეზრა თავი. ამიტომ ამ საქმის გადაწყვეტა ფორსტერის ბრალი იყო, რადგან მან უკანასკნელად აიძულა პარლამენტი მის განხილვად. ამის გამო ფორსტერს ბევრმა მიულოცა, ეს საქმე შენ დააბოლოვეო. რა თქმა უნდა, რომ ფორსტერი ამ საქმის შემდეგ უფრო დარწმუნდა, რომ მართლა შესანიშნავის ნიჭის პატრონი ყოფილვარო. 1874 წელს, როცა ლიბერალთა დასის მეთაურს ირჩევდნენ, ფორსტერმა ყველას გამოუგდო ყურები, ჩემზედ კარგს მეთაურს ვიღას აირჩევთო? ფორსტერი მეთაურად არ ამოირჩიეს. 1880 წელს დაარსდა ირლანდიის სეკრეტარის თანამდებობა. ფორსტერმა იმ წამსვე განაცხადა, ეგ ფრიად მძიმე თანამდებობა მე უნდა ჩამაბაროთო და ისე გააჭირა საქმე, რომ კანდიდატმა ბიგერმა საჯაროდ გამოაცხადა, მაგ თანამდებობისთვის სრულიად არ ვარგიხარო. ფორსტერი არ დაეთანხმა და ცხარედ უმტკიცებდა ბიგერს, მხოლოდ ჩემისთანა ნიჭიერსა და მხნე კაცს შეუძლიან ირლანდიის საქმეთა გარიგებაო. ფორსტერს არც ეს თანამდებობა უბოძეს. ამ დამარცხების გამო ფორსტერს მაინც გული არ გასტეხია და თავისი თავი მაიც ყველაზედ ჭკვიანად მიაჩნდა. ამ ამაყობის მიუხედავად ფორსტერი, როგორც ინგლისის პარლამენტის წევრს შეჰფერის, გულ-მოდგინე და მეტად პატიოსანი მოღვაწე.

**

ჯონ ბრაიტი საპოლიტიკო ასპარეზზედ გამოვიდა 1838 წელს, როცა ჯერ სულ ახალგაზდა კაცი იყო (27 წლისა), და მაშინვე გამოიჩინა თავი პურის ბაჟის გაუქმების საქმეში. იმ დროს ინგლისის მთავრობა ძლიერ დიდს ბაჟს ახდევინებდა უცხო ქვეყნებიდგან მოტანილს პურს. ინგლისში პური ცოტა მოდის და ამიტომ ხალხს ძლიერ ძვირად უჯდებოდა პურის ყიდვა. ინგლისში ერთი დასი დაარსდა, რომელსაც საგნად ჰქონდა ამ ბაჟის გაუქმება. ბრაიტი საუკეთესო წარმომადგენელი იყო ამ დასისა. მოგზაურობდა ქალაქებსა და სოფლებში და ყველგან ჰქადაგობდა, მთავრობას ძალა დავატანოთ, პურის ბაჟი გააუქმოსო, და მართლაც მიაღწია გულის წადილს. ხალხის ძალდატანებით მთავრობამ 1847 წელს პურის ბაჟი გააუქმა. ბრაიტის გონიერი შრომა და მედგარი ბრძოლა ხალხმა დააფასა და ინგლისმა ერთ-ხმად აღიარა, ბრაიტი სწორედ რომ მოციქული იყო პოლიტიკაში იმ პურისა, რომლის შესახებაც ამბობენ: „პური ჩვენი არსობისაო“ და ასეც უწოდა მან თავისს თავს. 1843 წელს ბრაიტმა ქ. დორენგეიმში დეპუტატის არჩევანებზედ კენჭი იყარა, მაგრამ დორენგეიმის მცხოვრებთ არ ამოირჩიეს, უმწვერვალესი ლიბერალიაო; ხოლო სამის თვის შემდეგ იმავე ამომრჩევლებმა ბრაიტი პარლამენტის წევრად აირჩიეს და ცოტა ხანს შემდეგ მანჩესტერმა დეპუტატობა მიანდო. მას შემდეგ ბრაიტის სახელი თანდათან გაითქვა მთელს ინგლისში. ამერიკის ჩრდილოეთსა და სამხრეთის ქვეყნებ შორის ბრძოლის დროს ბრაიტი საყვედურით მოსვენებას არ აძლევდა ინგლისის მთავრობას, ამერიკის მონების პატრონთ ხელს რად უმართავთო. ბრაიტი მუდამ ომიანობის წინაღმდეგი იყო, თუმცა ამით ძლიერ ბევრი მტერი შეიძინა. ბრაიტი დიდი მოწინააღმდეგე იყო აგრეთვე ანგლიკანურის სამღვდელოებისა და მუდამ ამტკიცებდა, ამ სამღვდელოებას არ შეუძლიან კეთილ-მორწმუნე ქრისტეანეთა აღზრდა და მწყსვა, რადგანაც ხალხს ძალით ფულს ართმევენ, თითონ დიდს ჯამაგირებს იღებენ და ფართაშობენო. ბრაიტი დიდად უყვარდა ინგლისის მუშა-ხალხს და თავის მფარველად მიაჩნდა. პარლამენტში ძლიერ თავისუფლად ლაპარაკობდა ხოლმე, არავისი არ ერიდებოდა და სწორედ რომ თავზედ კაკალს ამტვრევდა ხოლმე ოპოზიციას (ჯონ ბრაიტი გლადსტონის მომხრე იყო). როცა ბრაიტი წამოდგებოდა სალაპარაკოდ, მთელს პალატაში დიდი დუმილი ჩამოვარდებოდა და პალატა ყურს უგდებდა იმის რიხიანს ხმასა, რომელიც ქუხილივით გრგვინავდა პალატის დარბაზში. ისეთის მოფიქრებითა და გატაცებით ლაპარაკობდა, რომ წამსვე მთელს პალატას მიიმხრობდა ხოლმე, მოწინააღმდეგებისა არ ერიდებოდა და ხანდახან ისეთს სიტყვებს მიახლიდა, რომ ეს სიტყვები სხვას ეთქვა, ყველა შეურაცხებად მიიღებდა, მაგრამ ბრაიტისაგან არა სწყინდათ, რადგანაც ყველა მიჩვეული იყო იმის ლაპარაკს. ერთხელ სავაჭრო კომისიის კრების დროს ბრაიტმა ამავე კრების თავმჯდომარეს ჩარლზ ადერლეის პირში მიახალა: „თქვენ, პატივცემულო ჯენტლმენო, ყეყეჩი ბრძანდებითო“. არც ადერლეისა და არც იმის მეგობრებს ეს არა სწყენიათ და თავჯდომარეს ამ სიტყვების გამო სამდურავიც არ უთქვამს. სხვას რომ წამოესროლა ეს სიტყვები, უეჭველად პალატის დარბაზიდგან გაიყვანდნენ, ან ლაპარაკს აუკრძალავდნენ. ბრაიტს-კი ამ სიტყვების წარმოთქმა შერჩა, რადგანაც ყველამ იცოდა იმისი ხასიათი და ჩვეულება, ყველამ იცოდა, რომ ბრაიტს ეს სიტყვები საწყენად არ უთქვამს. ინგლისის მოღვაწეთა შორის ბრაიტს ფრიად საპატიო ადგილი უჭირავს და ეჭვი არ არის, რომ ისტორია და შთამომავლობა დააფასებს. (ბრაიტი 1889 წელს გარდაიცვალა)

ბოდიშს ვიხდი, რომ ინგლისის პარლამენტის დანარჩენ მოღვაწეთათვის ადგილი აღარ დამრჩა, მაგრამ არა უშავს-რა, ერთ-ერთი შაბათი კიდევ მერგება როდისმე.

აბრა

ული საჭმელი. მაგრამ წყალი რომ სულ არ ერიოს, ისეთი საჭმელი ხომ არ იქნება. მაშასადამე სისალის დასაცველად საჭიროა არა ნაკლებ 3—$3\frac{3}{4}$ გირვანქისა იმის მიხედვით, თუ რა სამუშაოს აკეთებს კაცი: მძიმესა თუ ადვილს. მეორე ექიმი აჰლეფელდი ამბობს: სისალისა და ჯან-მრთელობისათვის საკმაოა კვირაში სჭამოს კაცმა სამი გირვანქა ხორცი, ერთი გირვანქა ქონი, ცოტა პური, ერთი უნცი ($\frac{1}{16}$ გირვანქისა) მარილი და 60 უნცი რძე, ანუ ხორცის მაგიერად 6 გირვანქა შვრიის პური.

— ბერლინსა და ლონდონში მეტად ბევრია თურმე სამხედრო სამსახურისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელედ ნამყოფი.

— უკანასკნელი შთამომავალი დიდებულის ქრისტეფორე კოლუმბისა, დონ-კრისტოვან კოლონი, ჭერცოგი დე-ვერაგუა არ დასწრებია მისის გამოჩენილის წინაპარის პატივსაცემლად გამართულს დღესასწაულს. ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეს ევროპაში და, როგორც ეხლა გამოირკვა, აი რა ყოფილა მიზეზი იმის ამ დღესასწაულზე დაუსწრებლობისა: ჭერცოგი მდიდარი კაცი იყო თურმე აქამდე, მაგრამ ეხლა, ამ რამდენისამე თთვის წინად, ერთის ბანკის გაკოტრებისა გამო, სადაც მთელი თავისი ქონება ჰქონია შეტანილი, გაღატაკებულა და აუარებელს მოვალეებს მისი სასახლები და მოძრავი ქონება საჯარო გაჭრობით გაუყიდნიათ. ამ მიზეზის გამო ჭერცოგს შესაძლებლად არ დაუნახავს ამ დღესასწაულზედ დასწრება და სოფელში წასულა, სადაც ნამდვილ ისპანელ რაინდისებურის მოთმინებით იტანს თავისს უბედურებას. ჭერცოგი ახლა 60 წლისაა. ისპანიის სახელმწიფოს უკანასკნელ სამინისტროში, რომლის მთავარ-მინისტრად საგასტა იყო, ჭერცოგი მეურნეობის მინისტრად ყოფილა და მიწის შემუშავებისა და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ისპანიაში ბევრი საკუთარი ფულიც მოუნდომებია.

— რუდოლსპეინში პოლიციამ აღმოაჩინა ბრბო იშვიათის ქურდებისა და მპარავის ქალებისა, რომელნიც 11—14 წლისანი ყოფილან და სკოლაში უვლიათ. ეს პატარა ქურდი ქალები ჯიბგირები ყოფილან. მოთავე ამ პატარა ჯიბგირებისა ყოზყევინა ჭოლლერი—12 წლისა—გამოტყდა, რომ 30-მდე ფულის ქისა მომიპარავსო.

— ინგლისის დედოფალი ვიქტორია დიდის გულმოდგინებით სწავლობს ინდოელების ენას. ამისთვის თვით ინდოელები ჰყავს სასახლეში და იმათთან საუბრით ერთობა მოცლილ დროს.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება გვიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ ბ-ნ ნიკოლოზ ბესარიონის ძეს ლორთქიფანიძეს 50 მანეთის შემოწირვისათვის პეტერბურგში მოსწავლე ქართველ ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ. აგრეთვე მადლობას ვუძღვნით ბ-ნს იგნოტს და ალექს. მერაბის ძეს თ. ლორთქიფანიძეს, რომელთაც დაიწყეს ძველის ვალის ნაწილ-ნაწილად გადახდა. ჩვენთა ძველთა მოვალეთა სიას თავის დროზედ გამოვაცხადებთ. ამ ჟამად უკვე საზოგადო სარბიელზედ გამოსულ აქ ნამყოფ ქართველ უმაწვილ-კაცობაზედ ითვლება 3,500 მან. ჩვენ ამ 3,500 მანათს არ ვათვლით მესამოცე და მესამოცდაათე წლებში წაღებულ გასესხებულ ფულებს. სია იმ მოვალეებისა, როგორც გვითხრეს, უნდა ჰქონდეს ბ-ნ კირილე ბეჟ. ძე ლორთქიფანიძეს. არ იქნებოდა ურიგო, ბ-ნი ლორთქიფანიძე გადმოგვცემდეს იმ სიას, თუნდ იმისთვის, რომ მოვიყვანოთ ცნობაში, თუ რამდენის ყმაწვილისათვის აღმოუჩენია შემწეობა ჩვენს წრეს.

პეტერბურგში მოსწავლე ქართველი სტუდენტები

(იწერება თანხმად წრის კრების განაჩენისა. გამგეობის წევრნი: ვარლამ ქიქინაძე, ა. გენტმანი, ნ. ნაკაშიძე და ილიკო ჯიშკარიანი).

# დეპეშა

5 ნოემბერი

**პეტერბურგი.** საერო განათლების სამინისტროსთან დაწესებულია განსაკუთრებული კომისია, რათა განიხილოს ის სამხედრო ბეგრის შეღავათნი, რომელიც განათლების გამო ეძლევათ. კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ ყველა ის მინისტრნი, რომელთა უწყებაშიაც სასწავლებლები მოიპოვება.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტმა ლუბემ, უპასუხა რა პალატაში დე-მენს, უარ-ჰყო, ვითომ მთავრობა ოფიციალურად ჰქადაგებს ურწმუნოებას და სცდილობს სარწმუნოებრივი გრძნობანი აღმოფხვრასო. „რესპუბლიკაო, დასძინა ლუბემ: კი არა სჩაგრავს, პატივსა სცემს და შემწყნარებელია ყოველ გვარის სარწმუნოებისა“. რამდენიმე სიტყვა კიდევ წარმოსთქვეს და შემდეგ კრება ხვალისათვის გადაიდო.

პალატის გუშინდელ კრების გამო ზომიერი რესპუბლიკის მომხრე გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ მთავრობის საქმე ბეჭდვითის სიტყვის კანონ-პროექტის შესახებ კარგად მდისო; რადიკალ-მონარქიული გაზეთები-კი დაბეჯითებით ამბობენ, რომ ამ კრებას კაბინეტის სამსახურიდგან გადადგომა მოჰყვება აუცილებლადაო.

**ლონდონი.** საპოლიციო სასამართლომ საქმის ხანგრძლივ განხილვის შემდეგ თანხმობა გამოაცხადა, რომ, საფრანგეთის მთავრობის მოთხოვნილებისამებრ, ამ მთავრობას გადასცეს ანარხისტი ფრანსუა, რომელსაც ვერის სასტუმროს აფეთქების საქმეში მონაწილეობის მიღება ჰბრალდება. ამ დადგენილების გამო ფრანსუამ სააპელაციო საჩივარი შეიტანა.

**ნიუ-იორკი.** გადასახლებულთა საქმის გამგე კომისარმა გუშინ განკარგულება გამოსცა, რომ შემოსვლის ნებას ნუ მისცემთ იმათ, რომელთაც, სამგზავრო ბილეთს გარდა, სულ ცოტა, ოცი მანეთი ფული მაინც არ ექნებათო.

6 ნოემბერი

**ბათუმი** გუშინ დილით გემით „Память меркурія“ მობრძანდა ოდესიდგან მემკვიდრე ცესარევიჩი. ნავთსადგურზედ მის უმაღლესობას მიეგებნენ: მთავარ-მმართებელი კავკასიისა, გენერალ-ადიუტანტი შერემეტევი, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-ლეიტენანტი შალიკოვი, უცხოელთა კონსულები, სამხედრო და სამოქალაქო უწყების კაცნი. მისი უმაღლესობა, რომელსაც დახვდა აგრეთვე აღტაცებული ხალხი, გადაბრძანდა მატარებელში და ინება წაბრძანება ბათუმიდგან 2 საათსა და 15 წუთზე ამიერ კავკასიის რკინის გზით ხაშურს და შემდეგ იქიდგან აბასთუმანს.

**ბერლინი.** სოციალ-დემოკრატების კრებამ ყველა ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 5 ხმისა არ იკაბულა, რომ უთუოდ განურჩეველ-განუკითხველად შეწყვეტილ იქმნას მუშაობა 1 მაისობასაო; უმეტესობის ხმა 235 იყო; შემდეგ გადაწყვეტილ იქმნა, ვიდღესასწაულოდ მხოლოდ 1 მაისობას.

**ნეაპოლი.** დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ რიგზე გავლით პარიჟს წაბრძანდა.

**პოტსდამი.** 5 საათსა და 15 წუთზედ მიბრძანდა ვილდპარკის სადგურზედ დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე, რომელსაც მიეგება ვოგზალზედ იმპერატორი და დიდი მთავარი ერთად წაბრძანდნენ ეტლით ახალს სასახლეში. საღამოზედ მის უმაღლესობის პატივ-საცემლად იქნება გამართული სადილი, რომელზედაც მოწვეულნი არიან: ელჩი გრაფ შუვალოვი მეუღლითურთ, თავადი რაძივილი, გრაფ ლენდორფი და გენერალ-ადიუდანტი ლინდეკვისტი.

პეტერბურგის ბირჟა, 3 ნოემბ.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8,06 | | 8,10 | | — | ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 161 | | 162 | | — | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | | 1,10 | | — | ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — | ,, | — | ,, | $238\frac{1}{4}$ | |
| —მეორისა . . . . | — | ,, | — | ,, | $217\frac{1}{2}$ | |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — | ,, | — | ,, | $190\frac{1}{4}$ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | | | | |
| 6°/₀. . . . . . . | 102 | | — | ,, | — | ,, |
| 5°/₀. . . . . . . | 99,62 | | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | 102 | | — | ,, | — | ,, |
| 5°/₀. . . . . . . | 99,87 | | — | ,, | — | ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $97\frac{3}{4}$ | | — | ,, | — | ,, |

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ქუთაისში რკინის გზის სადგურზედ გამომცემელ ხეთერელთან, ტფილისში „ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიებში და აგრეთვე ყველა წიგნის მაღაზიაში ლეგენდა ლექსად პ. ცახელისა:

**ზარნაშო.**

ფასი სამი შაური.

(4—4)


**საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან**

აუწყებს ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა და სხ. პატრონთ, რომ, საზოგადოების წესდების § 30 ძალით, ამ საზოგადოებასთან არსდება ცალკე განყოფილება საკუთრად ვენახების, ბაღებისა და სხ. დაზღვევისათვის სეტყვისაგან. ამ განყოფილების მოქმედება დაიწყება მხოლოდ მაშინ, როცა მსურველნი დაზღვევისა იქმნებიან იმდენი, რომ მათის დასაზღვევის მამულების საზღაური 500,000 მან. იქნება.

სურვილი თვისი უნდა გამოუცხადონ საზოგადოების სააგენტოს დილის 9—12 საათამდე, ხოლო მერმისს პირველ იანვრიდგან დილის 9—3 საათამდე. (აბას-აბათის მოედანი, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, საკუთარი სახლი). იქვე შეიძლება მიიღოს მსურველმა შემდეგი წიგნები:

Страхованіе отъ градобитія.

Краткій очеркъ развитія этой отрасли обезпеченія въ Германіи и Россіи.

Сборникъ свѣдѣній для опредѣленія убытковъ, причиняемыхъ культурнымъ растеніямъ градобитіями и др. атмосферическими вліяніями, а также насѣкомыми и болѣзнями.

Составилъ В. А. Таргонскій

სააგენტოს გამგე დ. ქ. თუთაევი.

1893 წლის 1 იანვრიდგან არსდება ტფილისში

**„უნივერსალი სააგენტო“**

დ. ქ. თუთაევისა

აბას-აბათის მოედანზედ, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, დილის 9—3 საათამდე.

საქმე სააგენტოსი:

I რიგისა

დაზღვევა სიცოცხლისა ყოველ იმ წესით, რა წესითაც-კი შესაძლოა.

დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავისა და მოძრავის ქონებისა.

დაზღვევა ჭირნახულისა და ვენახებისა სეტყვისაგან.

გასყიდვა 5-°/₀-იან მომგების ბილეთებისა I და II სესხისა და სახელმწიფო სათავად-აზნაურო მომგებიან გირავნობის ფურცელთა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით და ხელ-მოსაცემ პირობით.

დაზღვევა მომგებიან ბილეთებისა გაბათილებისაგან უზრუნველ-ყოფისათვის, თითო ბილეთისა 60 კაპეიკად.

II რიგისა

შედგენა ხარჯთ-აღრიცხვათა და გეგმებისა შენობათა ასაგებად. (სააგენტოს ჰყავს საკუთარი ხუროთ-მოძღვარი-არხიტექტორი).

შესრულება ქალაქ გარეშე მცხოვრებთა ყველა საქმისა, რომელიც-კი შეეხება მთავრობისა და სხვა კერძო დაწესებულებათა, აგრეთვე კომერციის და სხ.

სააგენტო ტვირთულობს სოფლისა და ქალაქის მამულების დაგირავებას ტფილისის სათავად-აზნაურო და სახელმწიფო ბანკში და აგრეთვე საკრედიტო საზოგადოებაში.

**რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი**

(ძირის ფული **1.000,000** მან.)

პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, 27

ისყიდება 5°/₀-იანი მომგებიანი ბილეთები I და II სესხისა და გირავნობის ფურცელნი სახელმწ. სადგილ-მამულო ბანკისა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი 10°/₀ იმისი, რაც ბილეთი ჰღირს ბირჟაზედ (არა ნაკლებ 15 მან.). ყოველ თთვე-დ-თთვე უნდა გადახდილ იქმნას იმდენი, რამდენსაც თვით მყიდველი ისურვებს (არა ნაკლებ 5 მან.)

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა გაბათილებისაგან ჰღირს 60 კაპ.

(20—11) აგენტი დ. ქ. თუთაევი

ვერძი ექიმი

**პრეობრაჟენსკი**

არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა, სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩის კუთხე, სახლი პაპოვისა, № $\frac{9}{2}$, ვარანცოვის ძეგლიდამ მეოთხე სახლი.

(10—7)

**რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა**

კანტორა უმთავრესის სააგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვის სახლში.

(30—15) ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ფ. ტარანოვი.


Дозв. ценз. Тифлисъ, 6-го Ноября 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.